

## გზავნილი ამერიკაში - გაგზავნის პირობები

### სარჩევი

1. მოქმედების სფერო .....	2
2. გზავნილის მახასიათებლები .....	2
3. გზავნილის მიღება, გაგზავნა, ტრანსპორტირება და ჩაბარება.....	3
4. გასაგზავნი გზავნილის შეფუთვის წესები .....	3
5. აკრძალვები და პირობითად დაშვებული პროდუქტები .....	4
6. დამატებითი სერვისები .....	5
7. პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა.....	6
8. დასკვნითი დებულებები .....	7
დანართი №1 .....	8
დანართი №2 .....	8

## 1. მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია პროდუქტის - „გზავნილი ამერიკაში“ (შემდგომში ასევე მოხსენიებული როგორც: „გზავნილი“) საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნის პირობები. დოკუმენტი განკუთვნილია შპს „საქართველოს ფოსტის“ მომხმარებლისთვის და ასევე კომპანიის ყველა იმ პოზიციის თანამშრომელთათვის, ვინც უზრუნველყოფს გზავნილის აშშ-ში გაგზავნასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებასა და კონსულტაციის გაწევას.
- 1.2. ის საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ დებულებებით.

## 2. გზავნილის მახასიათებლები

- 2.1. გზავნილი ამერიკაში - არის გზავნილის სახეობა, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლისგან იღებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სერვისცენტრების საშუალებით. ამასთან, თუ გამგზავნს კორპორატიული მომხმარებელი წარმოადგენს, მას საშუალება აქვს გზავნილის გაგზავნა მოახდინოს კურიერის გამოძახების საშუალებით.
- 2.2. გზავნილის გაგზავნის უფლება აქვს ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს, რომელსაც „საქართველოს ფოსტასთან“ დადებული აქვს ხელშეკრულება, მუშაობს საფოსტო პროგრამაში (APP) და გზავნილს დაარეგისტრირებს „საფოსტო პროგრამის მოხმარების ინსტრუქციის“ თანახმად. (შემდგომში „კორპორატიული მომხმარებელი“).
- 2.3. გზავნილის ადრესატი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.
- 2.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ გზავნილის გაგზავნას ამერიკაში ახორციელებს მოკითხვამდე პირობით. შესაბამისად, ადრესატისთვის გზავნილის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის ოფისში, რომლის მისამართიც მოცემულია - №2 დანართში.
- 2.5. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ გზავნილის დაზღვევა არ ხორციელდება.
- 2.6. გზავნილის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს, ხოლო ზომა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს: 80სმX80სმX80სმ.
- 2.7. ადრესატისათვის ჩაუბარებელი გზავნილის უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება (მათ შორის, თუ ადრესატი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე), მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ის განადგურდება ადგილზე.
- 2.8. გზავნილის გაგზავნის ღირებულება გამოითვლება ფაქტიური წონის ნამრავლით შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ 1კგ-თვის დადგენილ ტარიფზე. გამონაკლისია 2 კგ-მდე წონის გზავნილის გაგზავნა, როცა გამგზავნი/ადრესატი იხდის 2კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.

- 2.9. გზავნილის გაგზავნის ღირებულების გადახდა შესაძლებელია როგორც მისი გაგზავნისას - გამგზავნის მიერ, ასევე ადრესატის მიერ - გზავნილის მისთვის ჩაბარებისას (გზავნილი ფასდადებით).
- 2.10. კორპორატიული მომხმარებლის მიერ გზავნილის ფასდადებით გაგზავნა არ არის შესაძლებელი. ამასთან კორპორატიული მომხმარებლის ანგარიშწორების პირობა განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

### 3. გზავნილის მიღება, გაგზავნა, ტრანსპორტირება და ჩაბარება

- 3.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ გზავნილების მიღებას ახორციელებს სერვისცენტრებისა და კურიერების (კორპორატიული მომსახურების ფარგლებში) მეშვეობით, ყოველ სამუშაო დღეს.
- 3.2. მიღებულ გზავნილს ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი (შტრიხ კოდი).
- 3.3. გზავნილის საქართველოდან გაგზავნა ხორციელდება კვირაში ერთხელ, ყოველ **ხუთშაბათ დღეს**.
- 3.3.1. გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შესახებ ინფორმაციას გამგზავნი მიიღებს SMS შეტყობინების სახით.
- 3.4. ამერიკაში შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის ოფისის მისამართზე გზავნილის ტრანსპორტირება ხორციელდება №1 დანართში მოცემულ ვადაში.  
**განმარტება:** ტრანსპორტირების ვადის ათვლა იწყება გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ხუთშაბათიდან.
- 3.5. ადრესატი უფლებამოსილია შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის მიერ გზავნილის მიღებიდან, არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ჩაიბაროს ის შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის ოფისში.

### 4. გასაგზავნი გზავნილის შეფუთვის წესები

- 4.1. „გზავნილი ამერიკაში“ - აუცილებელი წესით უნდა გაიგზავნოს მყარი ყუთით, თუმცა ის შპს „საქართველოს ფოსტას“ შესაძლოა წარედგინოს როგორც ღია სახით და მომხმარებელმა შეფუთოს სერვისცენტრშივე, ისე დახურული სახით. ამასთან, კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი გახსნა და შიგთავსის დათვალიერება.
- 4.2. პროდუქტით „გზავნილი ამერიკაში“ ცალკე გზავნილის სახით დოკუმენტის გაგზავნისას, ის აუცილებელი წესით უნდა ჩაიდოს ე.წ. შესაფუთ კონვერტში (რბილი სარჩულით). სხვა სახის შეფუთვით დოკუმენტის ცალკე გზავნილის სახით გაგზავნა დაუშვებელია.
- 4.3. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. მან უნდა უზრუნველყოს იმგვარი შეფუთვა, რომ არ მოხდეს გზავნილის შიგთავსის, აგრეთვე მასთან ერთად გადასაზიდი სხვა გზავნილების დაზიანება (მათ შორის დასველება) ტრანსპორტირების დროს და არ უნდა

შეუქმნას პრობლემები პირებს, ვინც განახორციელებენ მათ შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას ან/და დასაწყობებას.

4.4. გამგზავნა გზავნილის შეფუთვისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი წესები:

- სითხე ან ისეთი ნივთიერება, რომელიც ადვილად იქცევა სითხედ, უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულად დახურულ კონტეინერში. თითოეული კონტეინერი უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით და რომელიც კონტეინერის გატეხვის შემთხვევაში შეიწოვს სითხეს;
- მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი ნივთები უნდა შეიფუთოს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთების ხახუნი ან ნივთსა და ყუთის კედლებს შორის შეხლა.
- ცხიმის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ, როგორცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი, ფისი და სხვა, პირველადი შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, რათა თავიდან იქნეს აცილებული შიგთავსის გაჟონვა;
- მშრალი საღებავი ფხვნილები, როგორცაა მეთილენის ლურჯი და სხვა, დაიშვება მხოლოდ ჰერმეტიკულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც, თავის მხრივ, განთავსებული უნდა იქნეს შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში;
- მშრალი არასაღებავი ფხვნილები უნდა განთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც, თავის მხრივ, განთავსდება მტკიცე ყუთებში;

## 5. აკრძალვები და პირობითად დაშვებული პროდუქტები

- 5.1. დაუშვებელია გზავნილში იმ ნივთების/საქონლის მოთავსება, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია საქართველოსა და აშშ-ს კანონმდებლობითა და საერთაშორისო რეგულაციებით.
- 5.2. სტანდარტულად აკრძალული ნივთების/საქონლის ჩამონათვალი მოცემულია ბმულზე <https://www.gpost.ge/Content/ContentFiles/e95a4c9b40bc81a1d822ba4d41025f27.pdf> ;
- 5.3. კონკრეტულად აშშ-ში შესატანად აკრძალული ნივთების/საქონლის ჩამონათვალი მოცემულია ბმულზე <https://www.gpost.ge/help/requirements> , ქვეყნების ჩამონათვალიდან აშშ - ს არჩევისას.
- 5.4. მიუხედავად პუნქტი 5.3.-ში აღნიშნული ჩამონათვალისა, დასაშვებია ქვემოთ ჩამოთვლილი კვების პროდუქტის გაგზავნა, მხოლოდ შემდეგი პირობებით:

5.4.1. თუ კვების პროდუქტი მომზადებულია ფიზიკური პირის მიერ სახლის პირობებში და ეგზავნება ფიზიკურ პირს - არაკომერციული დანიშნულებით - საჩუქრად;

- 5.4.2. თუ კვების პროდუქტი ფიზიკური პირის მიერ შექმნილია კომერციულ დაწესებულებაში (მაგ. მაღაზიაში) და ეგზავნება ფიზიკურ პირს - არაკომერციული დანიშნულებით - საჩუქრად.
- 5.4.3. სასმელი, ან თხევადი/ზღანტი სახის ნებისმიერი პროდუქტი, თუ მასში ალკოჰოლის შემცველობა არ აღემატება 5%-ს.
- 5.5. პუნქტი 5.4.-ში აღნიშნული კვების პროდუქტის გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ გზავნილში თითოეული სახეობის პროდუქტის წონა არ აღემატება 3კგ ან 3 ლიტრს.
- 5.6. ნებისმიერი კვების პროდუქტი უნდა შეიფუთოს ჰერმეტიულად დახურულ ჭურჭელში ისე, რომ პროდუქტმა გაუძლოს ტრანსპორტირებას და არ მოხდეს შიგთავსის ლპობა, გაღვობა ან სითხის გამოყოფა.

## 6. დამატებითი სერვისები

- 6.1. გზავნილის გაგზავნისას მომხმარებელს საშუალება ეძლევა ისარგებლოს შემდეგი დამატებითი სერვისით:
- ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა.
- 6.2. „ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“ ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში მიმართვის გზით და საშუალებას აძლევს გამგზავნს უარი თქვას შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემული გზავნილის შემდგომ გაგზავნაზე.
- 6.2.1. სერვისით სარგებლობა ფასიანია და ის შეადგენს გაგზავნის ღირებულების 50%-ს. ამასთან, თუ დასაბრუნებელი გზავნილის გაგზავნის ღირებულება გადახდილი არ არის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გადაიხადოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დაწესებული ტარიფი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზავნილის მისთვის უკან დაბრუნება არ მოხდება და გზავნილი გადავა შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში. ტარიფი არ აიღება იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის უკან დაბრუნებას გამგზავნი მოითხოვს მისი გაგზავნის დღესვე.
- 6.2.2. მომხმარებელი (გამგზავნი) შეძლებს აღნიშნული სერვისით სარგებლობას იმ შემთხვევაში, თუ მისი მხრიდან გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმის განაცხადი დაფიქსირდება გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემიდან არაუგვიანეს სამშაბათის 17:00 საათამდე.
- 6.2.3. სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, გზავნილის უკან დაბრუნება ხდება სერვისცენტრშივე, ხოლო გადახდილი თანხის ასანაზღაურებლად გამგზავნი ავსებს რეკლამაციის განაცხადს, რომელიც იმავე დღეს იგზავნება ხარისხის მართვის დეპარტამენტში და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, გადახდილი თანხის 50% უკან უბრუნდება გამგზავნს.
- 6.2.4. თუ გამგზავნი გზავნილის უკან დაბრუნებას მოითხოვს გზავნილის გაგზავნის დღესვე და წარმოადგენს გადახდის დამადასტურებელი ქვითარს, მას გზავნილი დაუბრუნდება და გადახდილი გაგზავნის ღირებულება აუნაზღაურდება სრულად - სერვისცენტრშივე. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი ვერ შეძლებს გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენას, თანხის ასანაზღაურებლად გამგზავნმა უნდა შეავსოს რეკლამაციის განაცხადი,

რომლის საფუძველზეც კომპანიის შიდა პროცედურების გავლის შედეგად მას უკან დაუბრუნდება გადახდილი ღირებულების 50%.

- გამგზავნის უფლება აქვს მოითხოვოს **გზავნილის გადამისამართება**, რომელიც ხორციელდება „გზავნილის გადამისამართების წესში“ მოცემული სახმელეთო ამანათების გადამისამართების შესაბამისად.

## 7. პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

- 7.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება მისი ბრალით გზავნილის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში. ამასთან, გზავნილი დაზიანებულად მიიჩნევა მხოლოდ მისი გარე შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში.
- 7.2. გზავნილი ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის მიერ ან თუ გზავნილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 7.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- 7.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:
  - დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;
  - შემთხვევებში, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
  - თუ გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის არარსებობა ან დაზიანება გამოწვეულია გამგზავნის ბრალით ან დაუდევრობით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
  - იმ გზავნილის მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;
  - იმ გზავნილის მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით (მაგ. თუ გზავნილი შეფუთული უნდა იყოს განსაზღვრული სახით), ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
  - მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ გზავნილის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;
  - თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
  - თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ გზავნილის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში;
- 7.5. გზავნილის დაკარგვის, ან შიგთავსის ნაწილობრივი დაკარგვის, ან მისი დაზიანების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს ზიანს „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ - VII კარის 61-ე მუხლის №61.1.1. პუნქტის ნორმების შესაბამისად.

- 7.6. გამგზავნი მატერიალურად პასუხისმგებელია იმ ზარალზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“ აკრძალული ნივთის გაგზავნის ან გზავნილის არასათანადოდ შეფუთვის გამო.
- 7.7. ქვეყნის დატოვებამდე გზავნილში აკრძალული ნივთის ან მისი არასათანადოდ შეფუთვის აღმოჩენის შემთხვევაში, გზავნილი არ იგზავნება, ხოლო გამგზავნი იხდის პირგასამტეხლოს - გაგზავნის ღირებულების 100%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, გამგზავნს გზავნილი უკან არ უბრუნდება.
- 7.8. რეკლამაციის განხილვა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ხორციელდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ IX კარის 65-ე მუხლის ნორმებისა და „რეკლამაციის წარდგენისა და განხილვის“ წესის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. თუ ამ დოკუმენტის რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი დოკუმენტის ბათილობას. ამ შემთხვევაში დოკუმენტის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
- 8.2. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დამტკიცებული „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ იმ ნორმების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს გზავნილს - „სახმელეთო ამანათი“.
- 8.3. ამ დოკუმენტში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაში შედის მისი შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის ხელმოწერის დღიდან, თუ ცვლილებისა და დამატებების დოკუმენტი თავად არ შეიცავს მითითებას მისი ძალაში უფრო გვიანი თარიღით შესვლის შესახებ.
- 8.4. ამ დოკუმენტის პუნქტებს სათაურები წამმღვარებელი აქვთ დოკუმენტის ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ისინი მხედველობაში არ მიიღებიან როგორც ამ დოკუმენტის რაიმე დებულების განმსაზღვრელნი, შემცვლელნი ან განმარტავნი.

**დანართი №1**  
**პროდუქტის - „გზავნილი ამერიკაში“ ტრანსპორტირების\* ვადები**

აშშ	
ქალაქი	ჩაბარების ვადა
ნიუ იორკი, ნიუ-ჯერსი	15 სამუშაო დღე

\*ტრანსპორტირების ვადების ათვლა იწყება გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ხუთშაბათიდან.

**დანართი №2**

**შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლობის ოფისების მისამართები და სამუშაო საათები**

N	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1	Brooklyn, NY. 11235.	1151 Brighton Beach Ave	1 (929) - 472 - 5959	ყოველდღე : 10:00სთ-დან 18:00სთ-მდე
2	New Jersey, NJ  08872	615 Hartle Street Sayreville ,	1 (732) – 513-7013	ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით: 10:00სთ- დან 15:00 სთ-მდე